ოქმი:**ო63.63213642**
თარიღი:**30/12/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 1

ქ. სამტრედია. 14 დეკემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 14 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N : 62-6221344001 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, სამტრედიის ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესი''-ს (დანართი №1) და ,,2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის ღონისძიებათა ხარჯები"-ს (დანართი №2) პროექტის კორექტირებულ

ვერსიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

(მომართვის N: 62-6221344001 10/10/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **:12-63213443-63** 10/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტიო საკითხთა კომისია.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N 62-62213442 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების 2022 წლის ბიუჯეტის პროექტებს თანდართულ მასალებთან ერთად საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

1. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება.

2. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგაბაღების) გაერთიანება.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

5. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი.

6. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა.

7. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფრენბურთო კლუბი " ჯიკო".

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია" .

9. შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი „სამტრედია."

10. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი".

11. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. # 1 სახელოვნებო სკოლა.

12. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის # 2 სამუსიკო სკოლა.

13. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა.

14. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა.

15. ა.(ა).ი.პ. სამტრდიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა.

16. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის სამუსიკო სკოლა.

17. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა .

18. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება.

19. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ე.მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი „.

20. შ.პ.ს. სამტრედიის "მაცნე".

21. ა.(ა).ი.პ. სამტრდიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი.

22. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" .

23. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სათნოების" სახლი.

24. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახლი " თანადგომა'.

25. ა.(ა).ი.პ. რაგბის გუნდი“ფენიქსი“.

(მომართვის N 62-62213442 10/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213442-63** 10/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტიო საკითხთა კომისია.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 10 დეკემბრის N62-62213443 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N63-63213296 მომართვის პასუხს. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია რიგი წინადადებები, კერძოდ:

1. შ.პ.ს „სამტრედიის მაცნეს“ 2 საშტატო ერთეულზე (დამლაგებელი და სპეც. ტექნიკოსი) მოწესრიგდა თანამდებობრივი სარგო და შესაბამისად სუბსიდია გაიზარდა 1.7 ათ. ლარით;

2. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების უმცროს ბიბლიოთეკარს

(8 საშტატო ერთეული) მოუწესრიგდა თანამდებობრივი სარგო და შესაბამისად სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 4.2 ათ. ლარით;

3. ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულის ბაგა-ბაღს დაემატა 1 (ერთი) საშტატო ერთეული - ტქენიკური მუშაკი, (თანამდებობრივი სარგო 500 ლარის ოდენობით) რომელიც უზრუნველყოფს გათბობის სისტემის ტექნიკურ მომსახურებას და ბაგა-ბაღის ეზოს მოწესრიგებას. ასევე, მოთხოვნის საფუძველზე დაემატათ ერთი საშტატო ერთეული - სპეციალისტი, რომელიც მუნიციპალიტეტში არსებულ საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებს გაუწევს ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოებზე მომსახურებას.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის მწვრთნელ მასწავლებლებს (ჭადრაკი და კიკბოქსი) მოუწესრიგდათ თანამდებობრივი სარგო და შესაბამისად სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 2.0 ათ. ლარით;

5. სოციალური პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტში მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ მოქალაქეებს კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) ხანძრის შედეგად

მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება განესაზღვროთ სიმძიმის მიხედვით ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500-5 000 ლარის ოდენობით და ასევე, წარმოდგენილ სოციალური პროგრამაში მერიის გადაწყვეტილებით მოქალაქეებს, რომლებიც არიან მარტოხელები, ფსიქიურად დაავადებულები, შეჭირვებულები, არასაპენსიო ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არიან შრომისუუნარონი, განესაზღვროთ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

6. სოციალური პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტში მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის ონკოლოგიური სენით (III-IV-სტადია) დაავადებული მოქალაქეების ფინანსური დახმარება განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით;

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს დაემატა ორგანიზაციული კოდი

06 03 - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, რომლის ფონდი განისაზღვრა - 5.0 ათ. ლარის ოდენობით;

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას დაემატა 2 საშტატო ერთეული, რომელიც განახორციელებს მუნიციპალიტეტში არსებული ბორანის მოვლა-შენახვას. შესაბამისად , სუბსიდია გაიზარდა 15.0 ათ. ლარით;

9. მომართვიანობის შესაბამისად ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნოს სპორტული კლუბს დაემატა 1 საშტატო ერთეული და სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 4.2 ათ. ლარით.

10. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი"-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 10.8 ათ. ლარით, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოს, ევროპის პრიზიორებსა და ჩემპიონებს, ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და დიდებს შორის წარმატებული სპორტსმენების წახალისების მიზნით, სტიპენდიის გაცემას 200 ლარის ოდენობით და ასევე, სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.

11. ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს სუბსიდიის გეგმა გაიზარდა - 25.0 ათ. ლარით, რომლითაც მოწესრიგდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქამებულ პირთა ანაზღაურების ფონდი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91 მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოდგენილია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად და დასამტკიცებლად.

(მომართვის N 62-62213443 10/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213441-63** 10/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტიო საკითხთა კომისია.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 7 დეკემბრის N62-622134197 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ნოემბრის თვის შესრულებას და შესრულების ანალიზს

თანდართული ფორმების მიხედვით.

(მომართვის N62-622134197 7/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213421-63** 8/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტიო საკითხთა კომისია.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 14 დეკემბრის 62-622134836 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, მეგობრობის №1; №3; №4; №4ა; №5; №6; №7; №8 ჩიხებში ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის პროექტის მოწონების საკითხს.

(მომართვის 62-622134836 14/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213483-63** 14/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 29 ნოემბრის N 62-6221333136 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და დამტკიცების საკითხს:

1. ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა №51-ის მიმდებარედ არსებული 193.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.59.282), სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 10000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.44.457), ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქუჩა №15-ის მიმდებარედ არსებული 182.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.213), ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩა №25-ის მიმდებარედ არსებული 50.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.448) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 198169.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.41.345) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" .

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 13075.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.44.648) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ".

3. ,,ქალაქ სამტრედიაში, რესპუბლიკისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე 6000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

კოდი №34.08.50.009) - პარკის არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”–სთვის, (საიდენტიფიკაციო კოდი – 438728708) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე’’.

(მომართვის N 62-6221333136 29 /11/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213342-63** 30/11/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 29 ნოემბრის N 62-6221333133 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში განსახორციელებელი 19 პროექტის მოწონების შესახებ", განკარგულების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

(მომართვის N 62-6221333133 29 /11/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213341-63** 30/11/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 1 დეკემბრის N62-622133555 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. ,,სამოქალაქო მოძრაობა დროას“ მომართვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებზე საზოგადო მოღვაწეების სახელის მინიჭების საკითხს.

(მომართვის N62-622133555 1/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213354-63** 1/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 9 დეკემბრის **N:19/63213433-63** წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, სამტრედიის ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, თადარიგის პოლკოვნიკის, ა.ხაჟალიას, მომართვას დაფინანსებასთან დაკავშირებით.

(მომართვის **N:19/63213433-63** 9/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიები.

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კობა ძიძიგურის, 2021 წლის 14 დეკემბრის **19/63213484-63** განცხადება რომლითაც ითხოვს,

საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მუშაობას.

(მომართვის **19/63213484-63** 14/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 14 დეკემბრის 62-622134837 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების შედეგად, ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'', საქართველოს კანონის პროექტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'', საქართველოს კანონის მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება გაზრდილი ოდენობით.

(მომართვის 62-622134837 14/12/2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:12-63213482-63** 14/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 დეკემბრის **N:19/63213474-63** წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს მომართვას. მომართვის თანახმად წარმოდგენილია საკრებულოს კომისიებში მუშაობის მსურველთა სია. კერძოდ,

1. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაში წევრად წარმოდგენილია ემზარ შუბლაძის, აკაკი მინაშვილის, ქეთევან კუთალაძის კანდიდატურები.

2. იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიაში წარმოდგენილია - ემზარ შუბლაძის კანდიდატურა.

3. ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაში წევრად წარმოდგენილია - ემზარ შუბლაძის, ავთანდილ თადუმაძის და ქეთევან კუთალაძის კანდიდატურები.

4. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილია - ემზარ შუბლაძის, მარიამ ბარბაქაძის და აკაკი მინაშვილის კანდიდატურები.

5. შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილია - აკაკი მინაშვილის და ლაშა გრიგოლიას კანდიდატურები.

(მომართვის **N:19/63213474-63** 13/12/2021 წ..)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად

განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზაზა ადეიშვილის 2021 წლის 13 დეკემბრის **N:19/63213472-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, გამოვიდეს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან და მუშაობა გააგრძელოს საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკთხთა კომისიაში.

(მომართვის **N:19/63213472-63** 13/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გივი ჯულაყიძის, 2021 წლის 9 დეკემბრის **N:19/63213432-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიაში მუშაობას.

(მომართვის **N:19/63213432-63** 9/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გივი ჯულაყიძის, 2021 წლის 9 დეკემბრის **N:19/63213431-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, საკრებულოს საფინანსო-საფინანსო საკითხთა კომისიაში მუშაობას.

(მომართვის **N:19/63213431-63** 9/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამინის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით ნიკოლეიშვილის 2021 წლის 14 დეკემბრის **N:19/63213485-63** განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, საკრებულოს იურიდიულ, ადამინის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიაში მუშაობას.

(მომართვის **N:19/63213485-63** 14/12/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამინის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი